პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

18 აგვისტო, ხუთშაბათი, 1988 წ.
№ 159 (9826) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშები

# თამაშების დღიური

**წყალბურთი.** გუნდები ვოლგოგრადში ასპარეზობენ. პირველ მატჩში საქართველოს ნაკრების მეტოქე იყო მოსკოვის გუნდი. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 9:9. ამავე ქვეჯგუფში ლიტვა-სომხეთის გუნდების მატჩშიც ფრე აღინიშნა — 10:10.

**ფრენბურთი.** ეს ტურნირი ივანოვოში ტარდება. ჩვენმა ბიჭებმა მოუგეს ყირგიზ თანატოლებს — 3:0. მოლდავეთის გუნდმა სძლია ყაზახეთის ნაკრებს — 3:2. საქართველოს გოგონებმა წააგეს მოსკოველებთან — 0:3.

**კრივი.** ეს შეჯიბრება, როგორც ვიუწყებოდით, გორკში მიმდინარეობს. ასპარეზობას წარმატებით განაგრძობენ ჭუბაბრია (46 კგ), აბსარიძე (51), ავდალიანი (81) და ბურდიანცი (+91). გუშინ ბრძოლაში ჩაებნენ კიკვიძე (60), ფალიანი (67) და ოჩიგავა (71). ასპარეზობას გამოეთიშნენ ესებუა, შავლაყაძე, გიგინეიშვილი, ჩიქვინიძე და ჯაფარიძე.

**დიმიტროვგრადში** გრძელდება ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშების ტურნირი ჭადრაკში. საქართველოს გოგონათა კოლექტივი (ქეთევან კახიანი, სოფიკო ტერელაძე, სოფიკო ნიკოლაძე) „გ" ჯგუფში გამოდიოდა. ჩვენმა გუნდმა ასეთი შედეგებით დაამთავრა შეხვედრები თავის ქვეჯგუფში: აზერბაიჯანთან — 2,5:0,5, მოსკოვთან — 3:0, ტაჯიკეთთან — 2,5:0,5, ლენინგრადთან — 1,5:1,5 და ლენინგრადის გუნდთან ერთად ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. აი, ვინ რამდენი ქულა შესძინა კოლექტივს: კახიანმა — 2,5 (+2—1=1), ტერელაძემ — 3 (+2—0=2), ნიკოლაძემ — 4 (+4—0=0).

სამწუხაროდ, ჩვენს გოგონებს მხარი ვერ აუბეს თანატოლმა ჭაბუკებმა, რომლებმაც მოუგეს ტაჯიკეთის (5:0), ბელორუსიის (3:2), ესტონეთის (3,5:1,5) გუნდებს, დამარცხდნენ სომხეთის კოლექტივთან (1:4), დაუზავდნენ რსფსრ-ის წარმომადგენლებს (2,5:2,5), მოაგროვეს 15 ქულა, რაც ფინალში გასასვლელად არ ეყოთ და ისინი ახლა VII ადგილისთვის იბრძოლებენ.

**გუშინ** საქართველოს გოგონათა ნაკრებმა, ფინალური ტურნირის პირველ შეხვედრაში დაამარცხა უკრაინის ნაკრები გუნდი — 3:0.

**თამარ ხუბაშვილი,**
**საერთაშორისო ოსტატი**
**(ტელეფონით).**

პრობლემებთან პირისპირ

# ვუთხრათ სიმართლე მოსახლეობას

## ეს შეხვედრა მოხდება „ლელოს" წარმომადგენელთა თანდასწრებით

**მუხიანის** დასახლებიდან თითქმის ყოველდღიურად მოაქვს სარედაქციო ფოსტას ერთი და იგივე შინაარსის წერილი, რომლის დედაზრი ლაკონურად ასეთია: სტადიონის ტერიტორიაზე დაიწყეს გარაჟების მშენებლობა, რომელიც ძალიან სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და თუ ასე გაგრძელდა მოსახლეობას, განსაკუთრებით მოზარდებს, აღარ დარჩებათ ჯანმრთელობისა და სპორტის ერთადერთი კერა. პირველი სიგნალი რედაქციამ მიიღო ამ ორი თვის წინათ. მაშინვე დავუკავშირდით გლდანის სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომს. დაგვამშვიდეს, გარაჟები ხელს არავის შეუშლის, მოედანი აღდგება, საგანგაშო არაფერიაო. დაგვპირდნენ, რომ მოსახლეობასაც განუმარტავდნენ ვითარებას, მაგრამ... საქმეს, როგორც მოსახლეობა გვწერს „სასიკეთო პირი არ უჩანს", ამ დღეებში მოედნის ერთ მხარეს ფეხბურთის ცალი კარიც მოუშლიათ, განადგურებულია სარბენი ბილიკის ნაწილი. ერთი სიტყვით, მოედნის „ათვისების" შტურმი გრძელდება.

გუშინ რედაქციაში გვეწვია გიორგი ასანიშვილი, რომელმაც რედაქციამდე მობინადრეთა დანაბარები მოიტანა. მოსახლეობა მოითხოვს დაუყოვნებლივ შეწყდეს სპორტული ობიექტის ხელყოფა და აღდგეს იგი პირვანდელ საზღვრებში.

ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ შესაძლებელია ხდება რაღაც გაუგებრობა, იქნებ რაისაბჭოს აღმასკომს, რაიონის არქიტექტორს სულ სხვა ჩანაფიქრი აქვთ, რაც, სამწუხაროდ, დღემდის არ არის ცნობილი მოსახლეობისთვის.

**რედაქციამ გადაწყვიტა „ლელოს" წარმომადგენელთა თანდასწრებით, შაბათს, 20 აგვისტოს 10 საათზე მუხიანის სტადიონის ტერიტორიაზე ერთმანეთს შეახვედროს გლდანის სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობა, რაიონის არქიტექტორი, ქალაქის და რაიონის სპორტკომიტეტების მუშაკები, მოსახლეობის წარმომადგენლები, სხვა დაინტერესებული პირები.**

იმედია, რაიონის არქიტექტორი და რაიონის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები წარმოადგენენ მუხიანის სტადიონისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის მაკეტს, სტადიონის რეკონსტრუქციის პროექტს, ხარჯთაღრიცხვას და სხვა შესაბამის დოკუმენტაციას, რათა მოსახლეობას მივცეთ ამომწურავი პასუხი. ალბათ ასე აჯობებს საქმისათვის.



# ნუ დაკარგავ ძმელსა გზასა...

ჯერ არ გამოქვეყნებულა ჩვენი ქვეყნის მძლეოსანთა ოლიმპიური ნაკრების საბოლოო სია, მაგრამ გავბედავთ და ვიტყვით, რომ ოლიმპიელთა შორის იქნება თბილისელი მძლეოსანი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი მაია აზარაშვილი. ამ განცხადების უფლებას გვაძლევს ის შესანიშნავი შედეგები, რომლებიც მაიამ აჩვენა კიევში, საკავშირო უნივერსიადაზე. მან დიდი უპირატესობით მოიგო როგორც 100, ისე 200 მეტრზე რბენა და ორივე დისტანციაზე საქართველოს ახალი რეკორდები დაამყარა — 100 მეტრი 11,08 წამში გაირბინა, ხოლო ორჯერ უფრო გრძელი მანძილი 22,24 წამში დაფარა. ორივე შედეგი მსოფლიო კლასის მიღწევაა და, თუ არ ვცდებით, საუკეთესოა საბჭოთა მორბენალთა მიღწევებს შორის წლევანდელ სპორტულ სეზონში.

როგორც იცით, მაიამ წლეულს 400-მეტრიან დისტანციაზე დაიწყო მომზადება ცნობილი მოსკოველი სპეციალისტის გალინა ბუხარინას ხელმძღვანელობით. დისტანციის გამოცვლა ოლიმპიადის წინ მეტად სახიფათო ნაბიჯი იყო და შეიძლებოდა სპორტსმენი სეულის საგზურსაც გამოთხოვებოდა. ქვეყნის ჩემპიონატში ახალ დისტანციაზე მაია ფინალშიც ვერ მოხვდა. ამის შემდეგ ყურადღება ისევ ჩვეულ დისტანციებზე გადაიტანა და შესანიშნავ წარმატებებსაც მიაღწია. ვიმეორებთ, ამის შემდეგ ძნელი სავარაუდოა, რომ იგი სეულში არ ვიხილოთ.

## ველოსიპედი – მარათონი

**ნიუ-იორკი.** ტრადიციული ველორბოლის „კურს კლასიკის" მეცხრე ეტაპის შემდეგ (ტრასა უმთავრესად ნევადის შტატის მთიან გზებზე გადის) ლიდერობა ხელთ იგდო კანადელმა ალექს სტაიდამ, რომელიც უახლოეს კონკურენტს ამერიკელ დევის ფინეის 1 წუთსა და 04 წამს უგებს. გუშინწინ შეჯიბრებაში ქალებიც ჩაებნენ. პროლოგი (4,2 კმ) მოიგო აშშ-ს ოლიმპიური გუნდის წევრმა ინგა ბენედიქტმა — 5.47,77.

**რომი.** 55 წლის იტალიელმა მიქელე როსეტიმ ახალი მსოფლიო მიღწევა დაამყარა ზეგრძელ მანძილზე ცურვაში. მან 48 საათი დაჰყო წყალში და გადაცურა მესინის სრუტე იმ ადგილზე, სადაც მისი სიგრძე 150 კილომეტრია. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, როსეტის ეს სრუტე 900 ჯერ აქვს გადაცურული (აპენინის ნახევარკუნძულიდან სიცილიამდე).

**ბრატისლავა.** სლოვენიის მრავალდღიან ველორბოლაში პირველი ადგილი ჩეხმა ტომაშ სედლიჩეკმა მოიპოვა. 1000 კილომეტრზე მეტი მანძილი მან 49:48.00-ში დაფარა. ჩვენს სპორტსმენებს შორის საუკეთესო შედეგი რიგელ დაინის ოზოლს ჰქონდა — მეხუთე ადგილი, გამარჯვებულს იგი 1 წუთითა და 32 წამით ჩამორჩა. გუნდური გამარჯვება გდრ-ის ველოსიპედისტებმა მოიპოვეს.

**კასაბლანკა.** ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონმა მაროკოელმა საიდ აუიტამ განაცხადა, რომ სეულის ოლიმპიადის შემდეგ შეიცვლის სპეციალობას და სტიპლ-ჩეზში გამოვა. მას განზრახული აქვს 3000 მეტრი დაბრკოლებებით 8 წუთზე ნაკლებ დროში გაირბინოს.

## ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშების სარბიელზე გასვლის წინ







**გულმოდგინედ** ემზადება ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშებისათვის საქართველოს კლასიკური სტილით მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი უფროსი მწვრთნელის ოთარ ტატიშვილისა და მწვრთნელების — მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის თეიმურაზ აფხაზავასა და აკაკი ბალხამიშვილის ხელმძღვანელობით. შეჯიბრება ჩატარდება ქალაქ გორკში 19-23 აგვისტოს.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: თქვენ ხედავთ ჩვენი ნაკრები გუნდის ერთ-ერთი ბოლო ვარჯიშის ამსახველ მომენტებს.

ალექსანდრე კოტორაშვილის
ტექსტი და ფოტოები.

## გია გიორგაძე ლიდერთა შორისაა

**ბარნაულში** გრძელდება სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა მომავალი, 56-ე ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი.

6 ტურის შემდეგ 4,5-4,5 ქულით დაწინაურდნენ გია გიორგაძე, ალექსანდრე დრეევი, ლეონიდ იურტაევი და რატმირ ხოლმოვი. გენადი ზაიჩიკს 3 ქულა აქვს. თამაზ ტაბატაძეს — 1,5 (2).

## ფინეთი — სსრ კავშირი

**ჰელსინკი, 17 აგვისტო.** ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში აქ ერთმანეთს შეხვდნენ ფინეთისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. თამაში გვიან ღამით დამთავრდა.

ქალაქ რაუმაში გაიმართა ამავე ქვეყნების ჭაბუკ ფეხბურთელთა შეხვედრა. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა საბჭოთა გუნდმა, გოლი მე-80 წუთზე გაიტანა კობელევმა.



**თბილისში** გუშინ დაიწყო საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პირადი ჩემპიონატი საავტომობილო მრავალჭიდში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, გორის, რუსთავისა და ახმეტის გუნდები. შეჯიბრების შემდეგ დაკომპლექტდება საქართველოს ნაკრები გუნდი, რომელიც სექტემბერში, ვილნიუსში მონაწილეობას მიიღებს საკავშირო პირველობაში.

ალექსანდრე კოტორაშვილის ტექსტი და ფოტო.

გიორგი ნიკოლაძის დაბადების 100 წლისთავისათვის

# „სიცოცხლე, ესოდენ საჭირო და სასარგებლო ქვეყნისათვის...“

„...ისეთ თაობებს აღვუზრდით საქართველოს, რომელიც არა მარტო ჩვენ, მთელ ერს ასახელებს თავისი გამძლეობით... შეგნებით და ზნეობრივი განვითარებით.“

**გიორგი ნიკოლაძე.**



**დღეს,** გიორგი ნიკოლაძის დაბადების 100 წლისთავზე, ქართველ ერს კარგად აქვს გაცნობიერებული ის ღვაწლი, რაც მან თავისი ნაადრევად შეწყვეტილი სიცოცხლის მანძილზე გაიღო ჩვენი საზოგადოების ფიზიკური და სულიერი განვითარებისთვის.

თვითმყოფადი, ეროვნული ხასიათის გამოვლინებაა მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა...

მან მოასწრო შეექმნა პირველი ქართული გეომეტრიის სახელმძღვანელო, ყოფილიყო ორიგინალური კონსტრუქციის გამომთვლელი მანქანის გამომგონებელი, მეტალურგიული მრეწველობის პიონერი ჩვენში, მათემატიკური თეორიის საკუთარი სისტემის შემქმნელი...

დიდ სამეცნიერო მუშაობასთან ერთად იგი მთელი მონდომებითა და პასუხისმგებლობით ილვწოდა საქართველოში სპორტული ტრადიციების ჩამოყალიბებისა და დამკვიდრებისათვის: 1918 წელს გიორგი ნიკოლაძემ თბილისში შექმნა პირველი ტანვარჯიშული საზოგადოება; 1924 წელს მისი თაოსნობით დაარსდა საქართველოს სსრ გეოგრაფიული საზოგადოება, რომლის მთასვლა-მგზავროსნობის განყოფილებასაც იგი თავად ჩაუდგა სათავეში. გიორგი ნიკოლაძე ხელმძღვანელობდა ტექნიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონის გამოცემის მომზადებას და სპორტული ტერმინოლოგიის შედგენაშიც მონაწილეობდა. მისი ხელმძღვანელობით გამოიცა ტანვარჯიშის პირველი ქართული სახელმძღვანელოები.

გიორგი ნიკოლაძის დამსახურება და მიღწევები როგორც მეცნიერულ სფეროში, ისე სპორტულ სარბიელზე, ღირსეულად არის შეფასებული და დაფასებული. ამ დღეებში მისი ცხოვრების შესახებ უცნობი დოკუმენტებიც გამოქვეყნდა. ამჯერად გვინდა დავაზუსტოთ საქართველოში მთამსვლელობის განვითარების სფეროში მის მოღვაწეობასთან დაკავშირებული ზოგიერთი ფაქტი.

როგორც ცნობილია, 1923 წლის 28 აგვისტოს, მყინვარწვერზე ასვლით იწყება ქართული და, ამასთან ერთად, საბჭოთა ალპინიზმის ისტორია.

სპორტის დამსახურებული ოსტატი ალ. ჯაფარიძე წერს:

„საქართველოში რევოლუციამდე სრულებით არ ჰქონია ადგილი ალპინისტურ მოძრაობას, მას პირველი საფუძველი ჩაეყარა 1923 წ. მყინვარწვერზე მოწყობილი ორი მასობრივი ასვლით“. (ალ. ჯაფარიძე, რჩეული ნაწერები, თბილისი, 1949, გვ. 318).

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მეშვიდე ტომში (გვ. 431) აღნიშნულია, რომ გ. ნიკოლაძემ „1923 წ. 28 აგვისტოს მოაწყო ალპინისტური ასვლა მყინვარწვერზე (მონაწილეობდა 18 ქართველი ალპინისტი, მათ შორის 5 ქალი), რამაც დასაბამი მისცა საბჭოთა ალპინიზმს“.

ეს ორი ცნობა განსხვავებულ ინფორმაციას იძლევა მყინვარწვერზე პირველამსვლელთა შესახებ.



**ეს ფოტოსურათი, რომელზეც გიორგი ნიკოლაძეა აღბეჭდილი, საქართველოს სპორტის მუზეუმის თანამშრომლებმა მოგვაწოდეს.**

ავტორთა ჯგუფის — ი. ასლანიშვილის, ო. გიგინეიშვილის, დ. ფუოცელაძის მიერ 1954 წელს გამოცემულ წიგნში „მთამსვლელობა საქართველოში“ აღნიშნულია (გვ. 3):

„1923 წლის აგვისტო-სექტემბერში პირველი ორი მასობრივი ასვლით მყინვარწვერზე (ყაზბეგზე) მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ალპინიზმის განვითარებას არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირში.

პირველი ასვლა მყინვარწვერზე მოეწყო ცნობილი მეცნიერ-მათემატიკოსის, ინჟინრისა და ამასთანავე გამოჩენილი სპორტსმენის გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით და მთავარი მეგზურის, ცნობილი ყაზბეგელი მთამსვლელის იაგორ კაზალიკაშვილის თანხლებით. მყინვარწვერი დაპყრობილ იქნა 28 აგვისტოს. მაშინვე მოხდა მეორე ასვლაც. იგი მოაწყო 3 სექტემბერს საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის პირველმა სამეცნიერო ექსპედიციამ პროფესორ ალექსანდრე დიდებულიძის ხელმძღვანელობით“.

თარიღი ამ ცნობაშიც დასაზუსტებელია.

მოვლენები რომ უფრო ხელშესახები გახდეს, მივმართოთ პირველწყაროებს:

პუბლიკაცია სათაურით „ექსპედიცია მყინვარწვერზე“, რომელსაც აქვეყნებს ჟურნალი „საქართველოს განათლების მუშაკი“ (№ 2, 1925 წ.) პირველ სამეცნიერო ექსპედიციის წევრთა ფოტოსურათთან და თვითმფრინავიდან გადაღებულ მყინვარწვერის პანორამასთან ერთად, გვაუწყებს:

„20 აგვისტოს, 9 საათზე და 25 წ. ტფილისიდან პროფ. დიდებულიძის ხელმძღვანელობით გაემგზავრა ექსპედიცია მყინვარისაკენ....

გერგეთის მყინვარს ექსპედიციამ მიაღწია აგვისტოს 21-ს, საღამოს ექვს საათზე. აქ, აგვისტოს 22, პროფესორმა დიდებულიძემ მოახდინა აქტინომეტრიული გამოკვლევა...“

გიორგი ნიკოლაძის ჯგუფი ამავე დღეს, ე. ი. 22 აგვისტოს ემზადება თბილისიდან გამოსამგზავრებლად:

„... ჩვენ 22 აგვისტოს, დილის 6 საათიდან კერძო ბინაში შევიკრიბეთ და ველოდებით სატვირთო ავტომანქანის მოსვლას...

როგორც იქნა, მოვიდა მანქანა, დავტვირთეთ ბარგი, დავსხედით და ნაშუადღევის 2 საათზე გავუდექით გზას“, წერს გ. ნიკოლაძე სტატიაში „ყაზბეგზე“ („К вершинам советской земли“, Москва, 1949 г. ст. 160).

გ. ნიკოლაძის ექსპედიცია 24 აგვისტოს შეჩერდა საჭურვლის მოსაწესრიგებლად სადგურ ყაზბეგში. 25 აგვისტოს განაგრძეს გზა. 27-ში ღამე გაათიეს ე. წ. „შევარდნის ბუდეში“ და დილით, 4 ს. 30 წუთზე დაიძრნენ მწვერვალისაკენ.

..პროფესორ დიდებულიძის ჯგუფმა კი 4375 მეტრ სიმაღლეზე, ე. წ. ფირნის ველზე გამართა კარავი და იქ დაჰყო ოთხი ღამე და სამი დღე, 28 აგვისტოს კი ექსპედიცია შეუდგა მყინვარწვერზე ასვლას, რომელსაც მიაღწია დილით, 11 საათსა და 10 წუთზე.

მწვერვალისაკენ მიმავალ ა. დიდებულიძის ექსპედიციას წინ მწვერვალიდან დაბრუნებული გ. ნიკოლაძის მთამსვლელთა ჯგუფი შეხვდა.

„შეხვედრამ ასეთ ვითარებაში გამოიწვია ჩვენი და მათი დიდი აღფრთოვანება“, — აღნიშნავს გ. ნიკოლაძე ზემოთ დასახელებულ სტატიაში.

ამგვარად, ორივე ექსპედიცია ყაზბეგზე ავიდა ერთსა და იმავე დღეს, თუმცა სპორტულმა შემართებამ და შეუპოვრობამ, შესაძლებელი გახადა, რომ გ. ნიკოლაძის ჯგუფის სპორტსმენებს წინ გაესწრო სამეცნიერო ექსპედიციის წევრებისათვის, რამდენიმე საათით ადრე დაედგათ ფეხი მწვერვალზე და ეზეიმათ ახალი ერა ქართული და საბჭოთა სპორტის ისტორიაში — 1923 წლის 28 აგვისტო სამუდამოდ დამკვიდრდა საბჭოთა ალპინიზმის დაბადების დღედ.

გ. ნიკოლაძის სიცოცხლე 42 წლის ასაკში შეწყდა. ეს იყო არაბუნებრივი და მისი ახლობლებისთვის დაუჯერებელი ამბავი, რადგან იგი ჯანმრთელობითა და ფიზიკური მონაცემებით ისევე სრულყოფილი იყო, როგორც გონებრივად, სულიერად და ზნეობრივად.

დღესაც გულისტკივილით იკითხება მისი მეგობრისა და მთამსვლელობის საქმის განმგრძობის ალიოშა ჯაფარიძის სიტყვები, დაწერილი 1931 წელს,

„მოვლენა... რომელშიაც ცხოვრებამ კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავისი საშინელი ულმობელობა, ეს იყო გიორგი ნიკოლაძის დაკარგვა, რომლის სახითაც საქართველომ და საერთოდ საბჭოთა სამეცნიერო და საზოგადოებრივმა აზრმა კიდევ დაჰკარგა ერთ-ერთი თავისი თვალსაჩინო წარმომადგენელი, იმ წყების უდიდესი ადამიანებისა... რომელნიც უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში, რაღაც გაუგებარმა ჯადოსნურმა ძალამ ხელიდან გამოსტაცა ჩვენს ქვეყანას, გიორგის სახით კიდევ მიემატა ერთი, რომლის სიცოცხლე ესოდენ საჭირო და სასარგებლო იყო ქვეყნისათვის.

ყველგან... სადაც ნანახი მყავს გიორგი ნიკოლაძე, მე მხედველობაში მყავს ისევ ისე მხნე და ჯანმრთელი, როგორც ყველა ჩვენთაგანს უნახავს და ახსოვს ის“.

**სიმონ ჯაფარიძე,**
**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს ბუნების ძეგლთა განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.**

## მიმდინარეობს „ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდის ერთთვეული“

**გარდაბანი – [illegible].** ბევრი მაყურებელი დაესწრო სოფელ [illegible]ნდისში ფიზკულტურელის დღეს გამართულ შეჯიბრებას ქართულ ჭიდაობაში. ფალავნებმაც არ გააწბილეს გულშემატკივრები და ლამაზი, საინტერესო ჭიდაობა უჩვენეს მათ. ყველაზე პრესტიჟულ, აბსოლუტურ წონით კატეგორიაში გაიმარჯვა ვაშლოვანელმა ელგუჯა სომხიშვილმა. გამარჯვებულთა შორის არიან აგრეთვე ალექსანდრე ლორიშვილი (მარტყოფი), გელა მიკირტუმაშვილი (ვაშლოვანი), ზაზა კახელაშვილი (კუმისი), ზაზა ზვიადაური (თბილისი) და შეჯიბრების მასპინძლები — დათო ჯავახიშვილი და ნიკო მეზურნიშვილები.

**ელგუჯა ჯიჯიაშვილი.**

**წყალტუბო.** ფიზკულტურელის საკავშირო დღეს მიეძღვნა რაიონის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები, მასში მონაწილეობდნენ საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და საწარმოო-დაწესებულებათა მშრომელები. ასპარეზობის პროგრამაში იყო ფრენბურთი, ფეხბურთი, ჭადრაკი, გირების აწევა, სპარტაკიადის პროგრამის გარეშე წყალტუბოში გაიმართა ამხანაგური შეხვედრებიც.

**„ლელოს“ კორ.**

**მახობრივი** სპორტული ღონისძიებებით აღინიშნა ცხაკაიაში ფიზკულტურელის საკავშირო დღე. ქალაქის სტადიონზე სტარტი მიეცა სარაიონო სპარტაკიადას შრომით კოლექტივებში, ამ დღესვე მშდ.-ს ნორმატივები ჩააბარეს საწარმოებისა და დაწესებულებების ასობით ფიზკულტურელმა. გაიმართა შეჯიბრებები მინიფეხბურთში, ფრენბურთში, კროსში, ტყვიის სროლაში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ სპორტული ოჯახებიც, სულ ზეიმში ჩაება 1500-ზე მეტი ფიზკულტურელი.

**ხობი.** 13 აგვისტოს მთლიანად იყო დატვირთული რაიონის სპორტული ბაზები. დილით ხობის საცურაო აუზში ჩატარდა რაიონული პირველობა ცურვაში, მშდ-ს ნორმატივები ჩააბარეს კოლმეურნეობებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებმა. დღის მეორე ნახევარში სპორტული ზეიმი ფეხბურთელთა შეხვედრამ დააგვირგვინა. ხობის სტადიონზე საქართველოს პირველობის კალენდარულ მატჩში ადგილობრივი „კოლხეთი“ ტყიბულის „მეშახტეს“ შეხვდა. მატჩის დაწყებამდე კი მაყურებლების წინაშე საჩვენებელი გამოსვლებით საქართველოს ნაკრების მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა გუნდი წარსდგა, რომელიც აქვე მართავს საწვრთნელ შეკრებას. ფეხბურთელთა მატჩის შესვენების დროს გაიმართა მძლეოსანთა ასპარეზობა.

**ნუგზარ ჟვანია.**

**ჭიათურა.** ფიზკულტურელის საკავშირო დღეს ნაგუთის მუშათა დასახლებაში საზეიმოდ გაიხსნა ჭიათურმარგანეცის საწარმოო გაერთიანების სპორტული კომპლექსი. აქ გაიმართა ასპარეზობები აკრობატიკაში, ბატუტზე ხტომაში, ქართულ ჭიდაობასა და მინიფეხბურთში.

აქვე გაიხსნა ჯანმრთელობის კიდევ ერთი კერა — გამამდიდრებელი ფაბრიკის მარტივი ტიპის მოედნები, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ კალათბურთელები, მაგიდის ჩოგბურთელები. ფეხბურთელთა საქალაქო გათამაშების ფინალურ შეხვედრაში კი იმარჯვა ავტომეურნეობის გუნდმა, რომელმაც საპატიო პრიზი მოიპოვა. გაიმართა აგრეთვე ტურისტული ლაშქრობა — ჭიათურა-კაცხი, რომელშიც მონაწილეობდნენ ჭიათურელი მშრომელები.

**ვაჟა ლურსმანაშვილი,**
**„ლელოს“ კორ.**

**მაიაკოვსკი.** მრავალი მასობრივი სპორტული ღონისძიება, შეჯიბრებები მინიფეხბურთსა და მძლეოსნობაში, ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით მაიაკოვსკი-გურთა-საირმე — ასეთი იყო ფიზკულტურელის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების პროგრამა მაიაკოვსკის რაიონში.

**„ლელოს“ კორ.**

## მოკლედ

**სამტრედიის** რაიონის სოფელ დიდი ჯიხაიშის სპორტული კომპლექსის დარბაზში ჩატარდა საბჭოთა კავშირის გზათა მიმოსვლის სამინისტროს პირველობა კალათბურთში 1972-1973 წლებში დაბადებულ მოზარდთა შორის. მასში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, კუიბიშევის, შორეული აღმოსავლეთის, ბაიკალისა და ამიერკავკასიის რკინიგზის სპორტული სკოლების გუნდები.

გოგონებში პირველი ადგილი დაიკავა ლენინგრადის გუნდმა, ხოლო მეორე-მესამე საპრიზო ადგილები შესაბამისად დაიკავეს ამიერკავკასიისა და შორეული აღმოსავლეთის კალათბურთელებმა.

ჭაბუკთა შორის გამარჯვება ამიერკავკასიის გუნდს ხვდა წილად, შემდეგ არიან კუიბიშევისა და შორეული აღმოსავლეთის კალათბურთელები.

**იორამ ნიკოლეიშვილი.**

**ცხაკაიაში** დამთავრდა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური პირველობა 100-უჯრიან შაშში ქალთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 14 მოშაშე. I ადგილი დაიკავა მადონა ჭალამბერიძემ. II ადგილზე ლ. ჩომახიძე გავიდა, მესამეზე — ე. ტაბიშვილი.

**„ლელოს“ კორ.**

# ოსტატობის დასტური

**სინქრონულ ცურვაში თბილისში გამართული საკავშირო ჩემპიონატი სეულის ოლიმპიური თამაშების წინ ძალთა უკანასკნელი შემოწმება იყო. კმაყოფილია თუ არა საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელობა გუნდის წევრთა მომზადებით?**

**ამ კითხვით მივმართეთ საკავშირო სპორტსახკომის ცურვის სამმართველოს უფროსის მოადგილეს იგორ ბუგაეცს.**



— განა შეიძლება კმაყოფილები ვიყოთ, როცა ჩვენ ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამოვრჩებით ამერიკის შეერთებული შტატების, კანადისა თუ იაპონიის სპორტსმენებს? მართალია, უკანასკნელ წლებში ჩვენი გოგონები საკმაოდ დაწინაურდნენ, ბევრ გუნდს ვაჯობეთ, მაგრამ... კმაყოფილები მაშინ ვიქნებით, როცა ამერიკის, კანადისა და იაპონიის გუნდებს ჩამოვიტოვებთ.

**⊙ როგორც იტყვიან, დღეს და ხვალ ეს არ მოხდება, მაგრამ საინტერესოა, ჩვენი სპორტსმენები ახლანდელ ეტაპზე, თავიანთი შესაძლებლობების კვალობაზე, კარგად არიან მომზადებულები თუ არა?**

— ვფიქრობ, მათი ოსტატობა ახლა გაცილებით მაღალ დონეზეა, ვიდრე ეს აქამდე იყო.

**⊙ თბილისში გამართულ შეჯიბრებამდე ფაქტობრივად უკვე ცნობილი იყო მათი ვინაობა, ვინც სეულში უნდა გაემგზავროს. აქ გამართულ ასპარეზობას რაიმე ხომ არ შეუცვლია?**

— მართალია, თბილისში გამართული საკავშირო ჩემპიონატის შედეგების მიხედვით საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო ჩვენი ოლიმპიური ნაკრების დაკომპლექტების საკითხი, მაგრამ ამ მხრივ ეს ასპარეზობა მაინც ერთ-ერთი, და არა ერთადერთი, შესარჩევი პაექრობა გახლდათ. უბრალოდ, ამ ჩემპიონატს კიდევ ერთხელ უნდა შეემოწმებინა ჩვენი გადაწყვეტილების სისწორე. აღმოჩნდა, რომ არც შევმცდარვართ. ლიდერებმა, მათ შორის თბილისელმა ხრისტინა ფალასანიდიმ, თავიანთი სიძლიერე კიდევ ერთხელ დაამტკიცეს.

**⊙ სეულში გამგზავრებამდე დროს როგორ გამოიყენებთ?**

— სპორტსმენები თავიანთ ქალაქებში თავიანთ მწვრთნელებთან ივარჯიშებენ, მერე კი შორეულ აღმოსავლეთში მოვაწყობთ შეკრებას. ეს ადგილი შეკრებისთვის შემთხვევით არ აგვირჩევია. საკლიმატო ზაციოდ იქ ყველაზე უკეთესი პირობები გვექნება.

**⊙ და მაინც, ოლიმპიურ სარბიელზე რას უნდა ველოდოთ ჩვენი სპორტსმენებისაგან?**

— ჩვენი მთავარი ამოცანა ისაა, რომ ფინალში ბრძოლის უფლება მოვიპოვოთ.

**⊙ ოლიმპიადა ოლიმპიადად, მაგრამ თუ უფრო შორს გავიხედავთ?..**

— ვფიქრობ, კარგი ახალგაზრდობა გვეზრდება. ეს თბილისში გამართულმა ჩემპიონატმაც დაადასტურა. ნორჩების ოსტატობა საკმაოდ გაზრდილა.

**⊙ მასპინძელთა გუნდზე რას იტყვით?**

— მათი ოსტატობა შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე სულ იზრდება და იზრდება. ხრისტინა ოლიმპიურ ნაკრებში, ხოლო ნინო მაისურაძე ახალგაზრდული გუნდის სრულუფლებიანი წევრია და ამას წინათ გამართულ ევროპის პირველობიდან, თანატოლთა შორის, ოქროს მედლით დაბრუნდა. განა ეს ცოტაა? ამ შეჯიბრებაზე კი თქვენმა სპორტსმენებმა თავიანთ საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს. ამისი დასტურია ერთი ოქროს, ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი.

**საუბარი ჩაიწერა**
**ავთანდილ გურასაშვილმა.**



## სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

**გუშინ** მოსკოვში შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი მოსკოვისა და თბილისის დინამოელებს შორის.

თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

## სტატისტიკოსის ბლოკნოტში

13 და 14 აგვისტოს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-19 ტურის მატჩები. გთავაზობთ ამ შეხვედრათა სტატისტიკურ მონაცემებს.

**„სპარტაკი" — „დინამო" (მოსკოვი) 1:0 (1:0).** გოლი 27-ე წუთზე გაიტანა პასულკომ.

გააფრთხილეს დინამოელები დობროვოლსკი და ლოსევი, აგრეთვე სპარტაკელი სუროვი.

დუბლიორები — 1:1.

**„ტორპედო" — „ზენიტი" 2:1 (2:0).** გოლები: ნ. სავიჩევი, რუდაკოვი („ტორპედო"), სალენკო („ზენიტი").

გააფრთხილეს „ზენიტის" ფეხბურთელები დავიდოვი და ლარიონოვი.

დუბლიორები — 3:0.

**„შახტიორი" — „არარატი" 2:0 (1:0).** გოლები: პეტროვი, სმოლიანინოვი („შახტიორი").

გააფრთხილეს „შახტიორის" ფეხბურთელი ლეონოვი, აგრეთვე ერევნელი აკოფიანი.

დუბლიორები — 0:2.

**„კაირატი" — „ლოკომოტივი" 1:1 (0:1).** ბურთები გაიტანეს ლოკომოტიველმა გორკოვმა, ხოლო ალმაათელმა ვოლგინმა 89-ე წუთზე გაათანაბრა ანგარიში.

გააფრთხილეს მოსკოველი ფეხბურთელები სოლოვცოვი და რუსიაევი.

დუბლიორები — 0:1.

**„მეტალისტი" — „ჟალგირისი" 2:1.** გოლები: ივანაუსკასი („ჟალგირისი"), აჩოევი, ტარასოვი („მეტალისტი").

გააფრთხილეს დერევინსკი („მეტალისტი") და ივანაუსკასი („ჟალგირისი").

დუბლიორები — 0:0.

**„ჩერნომორეცი" — „ნეფთჩი" 1:0 (1:0).** გოლი: ნიკიფოროვი („ჩერნომორეცი").

გააფრთხილეს ოდესელი სუკინაევი.

დუბლიორები — 1:1.

◉ **განვლილ** ტურში სტუმრად პირველი ქულა აიღეს თბილისის დინამოელებმა, რომლებმაც დნეპროპეტროვსკში ფრედ ითამაშეს გათამაშების ლიდერთან „დნეპრთან" — 0:0. ეს მით უფრო ძნელი იყო, რომ დნეპროპეტროვსკელებმა გათამაშების ცხრილში უკვე მე-9 მატჩი დაამთავრეს ფრედ, კიდევ ერთი ფრე და „დნეპრს" ლიმიტი ამოეწურება.

◉ **რამდენადმე** დათმეს თავიანთი პოზიციები მედლებისთვის ბრძოლაში „ჟალგირისის" ფეხბურთელებმა, რომლებმაც ზედიზედ მეორე მატჩი წააგეს.

ამ ორ მატჩში „ჟალგირისმა" 5 ბურთი მიიღო საკუთარ კარში. ამ წარუმატებლობას ობიექტური მიზეზებიც აქვს, კერძოდ, საავტომობილო ავარიაში მოხვდა გუნდის ძირითადი მეკარე კალინაუსკასი, სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრების წევრი, ამიტომაც „ჟალგირისის" კარს იცავს იურკუსი, რომელიც დიდხანს არ თამაშობდა ტრავმის გამო.

◉ **გათამაშების** აუტსაიდერთა შორის ამჟამად 5 გუნდი იმყოფება: „დინამო" (მოსკოვი), „დინამო" (მინსკი), „დინამო" (თბილისი), „ნეფთჩი" (ბაქო) და „კაირატი" (ალმა-ათა).

მოსკოვის დინამოელებმა 10 მატჩი წააგეს და 20 მატჩში 26 ბურთი გაუშვეს. გაკვირვებას იწვევს გუნდის პერსპექტიული ფეხბურთელის ვ. დობროვოლსკის თამაში, რომელიც სეზონის დასაწყისში სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ირიცხებოდა, ახლა კი ისე პასიურად თამაშობს, რომ საეჭვო არის მისი ოლიმპიურ ნაკრებში ყოფნის საკითხი.

◉ **ბომბარდირთა** დავაში წინაა მოსკოვის „დინამოს" თავდამსხმელი ა. ბოროდიუკი — 11 გოლი. 9-9 ბურთი გაიტანეს თბილისის დინამოელმა გ. გურულმა, კიეველმა ო. პროტასოვმა და მოსკოვის „ლოკომოტივის" თავდამსხმელმა მ. რუსიაევმა.

◉ **ზედიზედ** მესამე ტურია სტუმრებმა ვერც ერთი გამარჯვება ვერ მოიპოვეს.

◉ **დნეპროპეტროვსკის** „დნეპრს" ზედიზედ მეთექვსმეტე ტურია დამარცხება არ განუცდია, მოსკოვის „დინამოს" კი ბოლო 8 ტურში გამარჯვება არ მოუპოვებია.

**გათამაშების ცხრილი**

**დუბლიორთა შემადგენლობანი**

მდგომარეობა 18 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ." მ. | 20 | 13 | 4 | 3 | 33-13 | 30 |
| „სპარტაკი" | 19 | 10 | 6 | 3 | 38-23 | 26 |
| „ტორპედო" | 18 | 10 | 3 | 5 | 28-22 | 23 |
| „დინ." კ. | 16 | 9 | 4 | 3 | 25-15 | 22 |
| „ჩერნომორ." | 19 | 8 | 6 | 5 | 21-17 | 22 |
| „ჟალგირ." | 19 | 7 | 7 | 5 | 30-14 | 21 |
| „დინ." თბ. | 18 | 7 | 7 | 4 | 25-24 | 21 |
| „დნეპრი" | 20 | 7 | 5 | 8 | 25-29 | 19 |
| „ლოკომოტ." | 17 | 7 | 4 | 6 | 24-19 | 18 |
| „მეტალისტი" | 20 | 6 | 6 | 8 | 25-23 | 18 |
| „ზენიტი" | 19 | 7 | 3 | 9 | 21-29 | 17 |
| „არარატი" | 17 | 5 | 4 | 8 | 26-32 | 14 |
| „ნეფთჩი" | 17 | 3 | 6 | 8 | 11-22 | 12 |
| „კაირატი" | 19 | 3 | 5 | 11 | 17-36 | 11 |
| „შახტიორი" | 18 | 3 | 4 | 11 | 19-34 | 10 |
| „დინ." მ. | 18 | 3 | 4 | 11 | 18-34 | 10 |

## I ლიგა

**15 აგვისტოს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 26-ე ტურის შეხვედრები.**

წარმატებით გამოვიდა მეტოქის მინდორზე ბათუმის „დინამო", რომელსაც ძნელი მატჩი ჰქონდა სიმფეროპოლში „ტავრიასთან", როგორც ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა **მ. მეგალიშვილმა** შეგვატყობინა ამ შეხვედრაში ანგარიში გახსნეს მასპინძლებმა — — ნაუმენკომ. ბათუმელმა ბიგვავამ 39-ე წუთზე საპასუხო გოლი გაიტანა, შესვენების შემდეგ ისევ ბიგვავამ მეორედ აიღო მასპინძელთა კარი და ბათუმელებმა გამარჯვებულებმა დატოვეს მინდორი — 2:1. გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ბალაძე, გოგიტიძე, ათუაშვილი, დურდიაძე, ჩიქოვანი, ჯოხაძე, მ. მახარაძე, მეშკოვი, ბიგვავა, ქვანია, მაისურაძე.

ამავე დღეს იაროსლავლში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „შინიკი" და ლანჩხუთის „გურია". მატჩი დამთავრდა „შინიკის" გამარჯვებით — 2:1.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „როტორი" (ვოლგოგრადი) — ასკ „კარპატი" 2:1, ასკ (დონის როსტოვი) — „დაუგავა" (რიგა) 0:2, „ზვეზდა" (პერმი) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 2:0, „გეოლოგი" (ტიუმენი) — „კოტაიკი" (აბოვიანი) 3:0, ცსკა — „პამირი" (დუშანბე) 0:0, „კუზბასი" (კემეროვო) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) 1:2, „დინამო" (სტავროპოლი) — „კოლოსი" (ნიკოპოლი) 2:1, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 2:1, „ზარია" (ვოროშილოვგრადი) — „როსტსელმაში" (დონის როსტოვი) 2:2.

21 აგვისტოს გაიმართება ლიგის 27-ე ტურის შეხვედრები. ლანჩხუთის „გურია" თავის მინდორზე მიიღებს დონის როსტოვის „როსტსელმაშს", ხოლო ბათუმის „დინამო" — ვოროშილოვგრადის „ზარიას".

**I ლიგა**

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 18 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „პამირი" | 25 | 16 | 7 | 2 | 48-21 | 39 |
| „დინ." სტ. | 25 | 13 | 7 | 5 | 37-21 | 33 |
| ცსკა | 25 | 12 | 7 | 6 | 35-19 | 31 |
| „როტორი" | 25 | 14 | 2 | 9 | 43-25 | 30 |
| „გურია" | 25 | 12 | 4 | 9 | 38-29 | 28 |
| „როსტს." | 24 | 11 | 6 | 7 | 38-34 | 28 |
| „ფახთაქ." | 25 | 10 | 8 | 7 | 31-25 | 28 |
| „გეოლოგი" | 25 | 12 | 3 | 10 | 31-32 | 27 |
| ასკ რ. | 25 | 11 | 5 | 9 | 33-34 | 27 |
| ასკ „კარპ." | 24 | 10 | 4 | 10 | 35-23 | 24 |
| „სპარტაკი" | 25 | 10 | 4 | 11 | 39-41 | 24 |
| „დაუგავა" | 24 | 9 | 6 | 9 | 31-28 | 24 |
| „კოტაიკი" | 25 | 10 | 3 | 12 | 33-51 | 23 |
| „შინიკი" | 25 | 8 | 7 | 10 | 25-29 | 23 |
| „ტავრია" | 25 | 6 | 10 | 9 | 22-24 | 22 |
| „ზარია" | 24 | 7 | 7 | 10 | 32-34 | 21 |
| „კუზბასი" | 25 | 6 | 9 | 10 | 17-26 | 21 |
| „მეტალურ." | 25 | 7 | 6 | 12 | 19-30 | 20 |
| „დინ." ბ. | 25 | 8 | 3 | 14 | 22-31 | 19 |
| „ყუბანი" | 25 | 7 | 4 | 14 | 23-39 | 18 |
| „კოლოსი" | 25 | 6 | 6 | 13 | 19-32 | 18 |
| „ზვეზდა" | 25 | 5 | 8 | 12 | 23-45 | 18 |

## II ლიგა

გაიმართა II ლიგის მესამე ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის მატჩები: „კოლხეთი" (ფოთი) — „ურალანი" (ელისტა) 5:3, „მერცხალი" (მახარაძე) — „ვოლგარი" (ასტრახანი) 3:2, „ლორი" (კიროვაკანი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 3:2, „ოლიმპია" (ლენინაკანი) — „სპარტაკი" (ტამბოვი) 0:1, „დრუჟბა" (მაიკოპი) — „დინამო" (სოხუმი) 4:2, „ნარტი" (ჩერკესკი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 0:1, „ტორპედო" (ტაგანროგი) — „სპარტაკი" (ოქტემბერიანი) 2:1, „სპარტაკი" (ანაპა) — „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) 0:2.

## საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის 23-ე ტურის შეხვედრები.

**„სულორი" (ვანი) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 2:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).** გოლები: ვერულაშვილი, დვალიშვილი („სულორი").

**„კოლხეთი" (ხობი) — „მეშახტე" (ტყიბული) 3:1. მსაჯი ვ. მამინოშვილი (თბილისი).** გოლები: შილაკაძე, ქომეთიანი, სამხარაძე („კოლხეთი"), ფორჩხიძე („მეშახტე").

**„დინამო" (გაგრა) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 2:1. მსაჯი ე. ხილაგავა (თბილისი).** გოლები: კვარაცხელია-2 („დინამო"), სიუკაევი („მეტალურგი").

**„სქური" (წალენჯიხა) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 1:1. მსაჯი მ. ჭელიძე (თბილისი).** გოლები: ხუბულია („სქური"), თედეშვილი („ბახტრიონი").

**„სალხინო" (გეგეჭკორი) — „დურუჯი" (ყვარელი) 3:0. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).** გოლები: ხუბულია, მურვანიძე-2 („სალხინო").

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს მ. ხელაია („სალხინო"), ე. სანადირაძე და ო. ოსაძე (ორივე — „დურუჯი").

**„სპარტაკი" (ცხინვალი) — „მადნეული" (ბოლნისი) 3:2. მსაჯი ა. მანუკიანი (თბილისი).** გოლები: რომელაშვილი, გ. ხუბეჯაშვილი-2 („სპარტაკი"), ბეს. უგულავა, ჯაგოევი („მადნეული").

**„ამირანი" (ოჩამჩირე) — „არმაზი" (მცხეთა) 1:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).** გოლები: გუჩუა („ამირანი"), ჯაბნიაშვილი („არმაზი").

**„ეგრისი" (ცხაკაია) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 3:2. მსაჯი მ. ჭელიძე (თბილისი).** გოლები: შონია-2, კაკალეიშვილი („ეგრისი"), ვ. სიჭინავა, ზ. სიჭინავა („სამეგრელო").

**„შადრევანი" (წყალტუბო) — „ქართლი" (გორის რ-ნი) 2:0. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).** გოლები: კერესელიძე-2 („შადრევანი").

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს თ. სვანაძე („შადრევანი"), ხოლო უხეში თამაშისთვის — გ. იაკოევი („ქართლი").

**„დინამო" (ზუგდიდი) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 4:2. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (თბილისი).** გოლები: მალანია, ვ. თუთბერიძე-2, დარასელია („დინამო"), ხილაგაძე, ახვლედიანი („საპოვნელა").

**„ივერია" (ხაშური) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 4:1. მსაჯი ვ. ალიევი (თბილისი).** გოლები: ი. ნოზაძე, ზეიადაძე, ოსაძე-2 („ივერია"), გოგაძე (ფიზკ. ინსტ. თბილისი).

მსაჯის გადაწყვეტილების უარყოფისთვის გააფრთხილეს ი. გოგაძე (ფიზკ. ინსტ).

**მსაჯთა რეესტრი**

**20. VIII.**

„ქართლი" (გორის რ-ნი) — „სალხინო" (გეგეჭკორი). **ი. კანდელაკი, ა. წერეთელი, თ. ხოფერიაძე** (თბილისი). „ივერია" (ხაშური) — „სპარტაკი" (ცხინვალი). **ი. შალამბერიძე, ნ. კილაძე, გ. თბელიძე** (თბილისი). „ბახტრიონი" (ახმეტა) — „საპოვნელა" (თერჯოლა). **მ. ჭელიძე, ნ. ბიძინაშვილი, გ. მენთეშაშვილი** (თბილისი). „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „დინამო" (ზუგდიდი). **ვ. ალიევი, ზ. დარჩია** (თბილისი), **გ. შავგულიძე** (რუსთავი). „ამირანი" (ოჩამჩირე) — „დინამო" (გაგრა). **გ. გაბისკირია, ო. გაგუა, ვ. ტორიხაანი** (სოხუმი).

**21. VIII.**

„დურუჯი" (ყვარელი) — „სულორი" (ვანი). ვ. ხილაგავა, ნ. კილაძე, ვ. ხუჩიანი (თბილისი). „არმაზი" (მცხეთა) — „სქური" (წალენჯიხა). **დ. მენთეშაშვილი, ნ. ბიძინაშვილი, თ. ხუანდერაშვილი** (თბილისი). „მეშახტე" (ტყიბული) — ფიზკ. ინსტ. (თბილისი). **ი. გობრონიძე** (ფოთი), **გ. შავგულიძე, გ. დათიაშვილი** (რუსთავი). „კოლხეთი" (ხობი) — „მაღაროელი" (ჭიათურა). **ზ. დარჩია, ჯ. მგელაძე**, (თბილისი), **ა. ფიფიაშვილი** (მცხეთა). „შადრევანი" (წყალტუბო) — „ეგრისი" (ცხაკაია). **კ. დავითიანი, ნ. შავიშვილი, ნ. მუხაშავრია** (ბათუმი).

XXI ტურის მატჩში ცხინვალის „სპარტაკისა" და ვანის „სულორის" შორის ერთმანეთთან კამათისთვის გააფრთხილეს ვ. ჯიჭოევი („სპარტაკი") და დ. პაიკიძე („სულორი"), ხოლო მ. დურგლიშვილი („სპარტაკი") მსაჯთან კამათისთვის.

**გათამაშების ცხრილები**

**I ჯგუფი**

მდგომარეობა 18 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სულორი" | 23 | 17 | 5 | 1 | 37-10 | 39 |
| „კოლხეთი" | 23 | 16 | 4 | 3 | 54-29 | 36 |
| „დინ." ზ. | 23 | 12 | 10 | 1 | 49-22 | 34 |
| „შადრევანი" | 23 | 11 | 6 | 6 | 36-21 | 28 |
| „ამირანი" | 23 | 11 | 5 | 7 | 37-22 | 27 |
| „დინ." გ. | 23 | 11 | 3 | 9 | 30-26 | 25 |
| „მადნეული" | 23 | 9 | 7 | 7 | 40-37 | 25 |
| „სამეგრ." | 22 | 11 | 1 | 10 | 34-34 | 23 |
| „საპოვნ." | 23 | 8 | 6 | 9 | 33-29 | 22 |
| „მეშახტე" | 23 | 8 | 6 | 9 | 20-28 | 22 |
| „დურუჯი" | 22 | 7 | 8 | 7 | 25-29 | 22 |
| „სპარტაკი" | 23 | 8 | 4 | 11 | 38-40 | 20 |
| „სალხინო" | 23 | 8 | 4 | 11 | 33-39 | 20 |
| „მაღარ." | 23 | 8 | 4 | 11 | 29-35 | 20 |
| „ივერია" | 23 | 7 | 6 | 10 | 27-37 | 20 |
| „მეტალურ." | 22 | 8 | 3 | 11 | 39-36 | 19 |
| „ბახტრ." | 22 | 6 | 6 | 10 | 25-35 | 18 |
| „ეგრისი" | 23 | 6 | 6 | 11 | 24-40 | 18 |
| „ქართლი" | 23 | 6 | 5 | 12 | 24-39 | 17 |
| „სქური" | 23 | 5 | 5 | 13 | 26-40 | 15 |
| „არმაზი" | 23 | 4 | 7 | 12 | 27-39 | 15 |
| ფიზკ. ინსტ. | 19 | 3 | 7 | 9 | 24-35 | 13 |

**მეორე ჯგუფი**

**აღმოსავლეთი ქვეჯგუფი**

„სამგორი" (გარდაბანი) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 1:0, „აბული" (ახალქალაქი) — „თრიალეთი" (წალკა) 1:1, „არაგვი" (დუშეთი) — „მესხეთი" (ახალციხე) 2:0, „თორი" (ბორჯომი) — „ალგეთი" (მარნეული) 1:0, „ვარძია" (ასპინძა) — „მეფრინველე" (კასპი) 1:1, „კახეთი" (თელავი) — „იმედი" (თბილისი) 3:1.

**II ჯგუფი**

**აღმოსავლეთი ქვეჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „არაგვი" | 18 | 14 | 2 | 2 | 40-17 | 30 |
| „თორი" | 17 | 11 | 4 | 2 | 29-16 | 26 |
| „მეტალისტი" | 18 | 11 | 3 | 4 | 42-13 | 25 |
| „კახეთი" | 16 | 11 | 3 | 2 | 31-19 | 25 |
| სსი-მეხრ. | 17 | 10 | 5 | 2 | 39-20 | 25 |
| „ვარძია" | 17 | 7 | 5 | 5 | 19-21 | 19 |
| „ალგეთი" | 18 | 7 | 4 | 7 | 23-27 | 18 |
| „მეფრინვ." | 18 | 8 | 1 | 9 | 27-28 | 17 |
| „ჰერეთი" | 17 | 6 | 5 | 6 | 33-28 | 17 |
| „იმედი" | 17 | 6 | 4 | 7 | 26-31 | 16 |
| „აბული" | 18 | 5 | 5 | 8 | 24-30 | 15 |
| „სამგორი" | 18 | 6 | 0 | 12 | 33-43 | 12 |
| სპი-„დინ."-3 | 13 | 5 | 1 | 7 | 21-16 | 11 |
| „ფოსტამტი" | 17 | 3 | 4 | 10 | 30-43 | 10 |
| „თრიალეთი" | 17 | 2 | 6 | 9 | 20-39 | 10 |
| „ახ. საფ. ს. თ. | 16 | 4 | 1 | 11 | 23-33 | 9 |
| „მესხეთი" | 17 | 3 | 3 | 11 | 25-42 | 9 |
| „უნივერსიტ. | 13 | 3 | 2 | 8 | 16-35 | 8 |

**დასავლეთი ქვეჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მზიური" | 18 | 14 | 3 | 1 | 51-20 | 31 |
| „ნარინჯი" | 18 | 14 | 1 | 3 | 46-14 | 29 |
| „საირმე" | 18 | 12 | 4 | 2 | 32-12 | 28 |
| „დვაბზუ" | 18 | 10 | 0 | 8 | 33-29 | 20 |
| „იმერეთი" | 18 | 8 | 4 | 6 | 29-25 | 20 |
| „დარჩელი" | 18 | 7 | 5 | 6 | 29-33 | 19 |
| „ჩიბათი" | 18 | 8 | 2 | 8 | 39-36 | 18 |
| „ბახმარო" | 18 | 7 | 2 | 9 | 26-32 | 16 |
| „კოლხეთი"2 | 18 | 6 | 4 | 8 | 30-30 | 16 |
| „მამისონი" | 18 | 6 | 4 | 8 | 27-35 | 16 |
| „ოდიში" | 18 | 6 | 3 | 9 | 33-35 | 15 |
| „ქიმიკოსი" | 18 | 6 | 2 | 10 | 27-41 | 14 |
| პოლ. ინსტ. ქ. | 18 | 5 | 3 | 10 | 21-29 | 13 |
| „ჩხერიმელა" | 18 | 3 | 6 | 9 | 21-36 | 12 |
| „ჩიხურა" | 18 | 4 | 3 | 11 | 25-46 | 11 |
| „ხ.დ.კ." | 18 | 3 | 4 | 11 | 21-37 | 10 |

**III ჯგუფი**

**აღმოსავლეთი ქვეჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ალაზანი" | 16 | 10 | 5 | 1 | 40-17 | 25 |
| „ვარდისუბ." | 17 | 10 | 2 | 5 | 29-16 | 22 |
| „თუშეთი" | 16 | 10 | 2 | 4 | 31-19 | 22 |
| „გარისი" | 16 | 9 | 3 | 4 | 38-20 | 21 |
| „მიონი"-35" | 17 | 9 | 2 | 6 | 35-25 | 20 |
| „გარეჯი" | 17 | 7 | 4 | 6 | 30-25 | 18 |
| „ნაფარეული" | 17 | 5 | 6 | 6 | 22-20 | 16 |
| „კოლმეურ." | 15 | 5 | 5 | 5 | 20-24 | 15 |
| „შირაქი" | 16 | 5 | 5 | 6 | 18-22 | 15 |
| „განთიადი" | 16 | 5 | 3 | 8 | 18-27 | 13 |
| „მარაბდა" | 16 | 5 | 2 | 9 | 21-30 | 12 |
| „სინ.-სპორტ" | 17 | 4 | 3 | 10 | 24-29 | 11 |
| სპი-თბ. | 13 | 4 | 3 | 6 | 26-32 | 11 |
| „ქიზიყი" | 15 | 4 | 2 | 9 | 16-44 | 10 |
| „მეტალურ.-2" | 12 | 2 | 1 | 9 | 15-33 | 5 |

**ცენტრალური ქვეჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მშენებ." | 16 | 12 | 0 | 4 | 40-22 | 24 |
| „იბერია" | 16 | 9 | 4 | 3 | 42-20 | 22 |
| „ორპირი" | 16 | 9 | 3 | 4 | 34-19 | 21 |
| „მეავეჯე" | 16 | 8 | 3 | 5 | 36-20 | 19 |
| „ზარზმა" | 15 | 8 | 2 | 5 | 33-20 | 18 |
| „ჭოგნარი" | 16 | 8 | 2 | 6 | 18-30 | 18 |
| „ფარვანა" | 16 | 7 | 4 | 5 | 27-22 | 18 |
| „ცენტმეტ". | 16 | 6 | 5 | 5 | 39-25 | 17 |
| „ფეიქარი" | 15 | 6 | 5 | 4 | 23-16 | 17 |
| „ავტომობ." | 16 | 6 | 3 | 7 | 26-32 | 15 |
| „ლიახვი" | 16 | 4 | 5 | 7 | 18-26 | 13 |
| „მეშაქრე" | 16 | 4 | 3 | 9 | 18-41 | 11 |
| „ხვამლი" | 16 | 2 | 6 | 8 | 13-23 | 10 |
| „ქვემოჭალა" | 16 | 3 | 3 | 10 | 24-51 | 9 |
| „ბაგიათი" | 16 | 0 | 6 | 10 | 10-34 | 6 |

**დასავლეთი ქვეჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სუბტრ." | 16 | 10 | 3 | 3 | 45-24 | 23 |
| „უნივერ." | 14 | 9 | 4 | 1 | 34-24 | 22 |
| „მელექედ." | 16 | 10 | 1 | 5 | 43-24 | 21 |
| „კახაბერი" | 17 | 7 | 6 | 4 | 20-15 | 20 |
| „ბეთლემი" | 16 | 7 | 5 | 4 | 22-17 | 19 |
| „სპარტაკი" | 16 | 7 | 3 | 6 | 20-21 | 17 |
| „კოლხიდა" | 16 | 6 | 5 | 5 | 33-21 | 17 |
| „ახალსოფ." | 17 | 6 | 4 | 7 | 29-33 | 16 |
| „განთიადი" | 17 | 5 | 5 | 7 | 22-34 | 15 |
| „მეშახტე" | 17 | 4 | 7 | 6 | 23-30 | 15 |
| „ალიონი" | 15 | 5 | 2 | 8 | 24-30 | 12 |
| „ავტომობ." | 16 | 2 | 3 | 11 | 19-44 | 7 |
| „ზანა" | 17 | 1 | 4 | 12 | 20-37 | 6 |



## „ტყავის ბურთის" პრიზზე

მოსკოვსა და კრემენჩუგში დაიწყო „ტყავის ბურთის" პრიზის ფინალური გათამაშება.

უკვე გაიმართა პირველი ტურის შეხვედრები. შეჯიბრების მონაწილენი კმაყოფილებას გამოთქვამენ მასპინძელთა დახვედრით. ნორჩი ფეხბურთელების განკარგულებაში იქნება ამ ქალაქების საუკეთესო საფეხბურთო მინდვრები.

# მონრეალსა და ცინცინატში

მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელები ინტენსიურად ემზადებიან სეულის ოლიმპიადისათვის. სხვადასხვა ქვეყანაში საინტერესო საერთაშორისო ტურნირები ეწყობა, რომლებშიც ჩვენი ქვეყნის წამყვანი სპორტსმენებიც გამოდიან.

**მონრეალში,** ერთ ასეთ შეჯიბრებაში, სამი ჩვენი ჩოგბურთელი ქალი ასპარეზობს. ლვოველმა ლარისა სავჩენკომ სძლია იაპონელ ემიკო ოკაგავას — 6:1, 6:3, თბილისელი ლეილა მესხი და მოსკოველი ნატალია ბიკოვა კი დამარცხდნენ შესაბამისად დასავლეთგერმანელ სილვია ჰანიკასთან (1:6, 5:7) და ახალზელანდიელ ჯული რიჩარდსონთან (0:6, 3:6).

**ცინცინატში** (აშშ) კი ვაჟები ასპარეზობენ. აქ პირველ წრეში კალინინგრადელი ალექსანდრე ვოლკოვის მეტოქე უიმბლდონის ექსჩემპიონი ავსტრალიელი პატრიკ კეში იყო. გაიმარჯვა კეშმა — 6:4, 2:6, 7:6.

# ოლიმპიური მოზაიკა

● **იაპონიის** ოლიმპიურმა კომიტეტმა განსაზღვრა სეულში გასამგზავრებელი დელეგაციის წევრთა რაოდენობა და მისი ბიუჯეტი. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას მიიღებს ამომავალი მზის ქვეყნის 260 სპორტსმენი. მათ მოემსახურება 77 ოფიციალური პირი. ოლიმპიური დელეგაციის ბიუჯეტი შეადგენს 1,06 მილიონ დოლარს. იაპონელები სეულში ხუთი ოქროს მედლის მიღებას ვარაუდობენ (ძიუდოში, ჭიდაობის სხვა სახეობებსა და მშვილდოსნობაში).

● **დიდ ინტერესს** იწვევს სეულში ციგურაობაში კალგარის ზამთრის ოლიმპიური თამაშების პრიზიორ კრისტა ლუდვიგ-როტენბურგერის (გდრ) გამოსვლა. იგი ველოსიპედისტთა შეჯიბრებაში იასპარეზებს. როტენბურგერი 1988 წლის ორივე ოლიმპიური თამაშების ერთადერთი მონაწილე იქნება ალბათ.

● **გდრ-ის** მოცურავეთა გუნდის მთავარი მწვრთნელი ვოლფგანგ რიხტერი სერიოზულად არის შეშფოთებული ვაჟთა ოლიმპიური ნაკრების შედეგებით და ფიქრობს, რომ სეულში იგი წარმატებას ვერ მიაღწევს. „ოცდაშვიდი ოქროს მედლიდან, რომლებიც ჩვენს მოცურავეებს ოლიმპიადებში აქვთ მოპოვებული, — განაცხადა მან, — ვაჟების წილად მხოლოდ ხუთი მოდის. ეს შეფარდება ყველაზე ნათლად ასახავს დღევანდელ მდგომარეობასაც". რიხტერი მოცურავეთა გუნდის შემადგენლობას მხოლოდ 2 სექტემბერს დაასახელებს.

● **სამხრეთკორეელი** ბავშვები, რომლებიც 1981 წლის 30 სექტემბერს არიან დაბადებულნი, თამაშების გახსნისა და დახურვის ცერემონიალზე უფასო ბილეთებს მიიღებენ. ეს ის თარიღი გახლავთ, როცა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა თამაშების ჩატარება სეულში. ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ ასეთი ბილეთით 2560-მდე ბავშვი დასაჩუქრდება.

● **ჩეხოსლოვაკიის** ხელბურთელ ქალთა ნაკრებმა — მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა ოლიმპიური სამზადისის მთავარი ეტაპი უკვე განვლო. მწვრთნელი შედეგებით კმაყოფილია: „ახლა მთავარ ყურადღებას აკლიმატიზაციას დავუთმობთ, რომელსაც, მეცნიერთა აზრით, სულ ცოტა 10-12 დღე სჭირდება" — თქვა მან.

● **იმასთან** დაკავშირებით, რომ ჩოგბურთი ოლიმპიური სახეობა გახდა, გფრ-ში გამოუშვეს სპეციალური მონეტები (ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოსი), რომლებზეც აღბეჭდილია მსოფლიოს პირველი ჩოგანი შტეფი გრაფი. სპორტსმენმა ჰონორარის მიღებაზე უარი თქვა და ფული გფრ-ის ოლიმპიური კომიტეტის ფონდს გადასცა.

● **ინგლისის** ყველაზე ტიტულოვანი ძიუდოისტი 30 წლის ნეილ ადამსი აპირებს სეულში გამგზავრებას, თუ ეს უფლება მან მოიპოვა ადამსი სამი ოლიმპიადის მონაწილე გახდება. მოსკოვში იგი 71 კგ-ში ასპარეზობდა, მერე კი 78 კგ წონაში გადაინაცვლა. ადამსი ევროპის 1979 წლის და მსოფლიოს 1981 წლის ჩემპიონია. იგი რამდენიმეჯერ იყო კონტინენტისა და მსოფლიო პირველობის პრიზიორიც.

● **ოლიმპიურ** სოფელში გადასაადგილებლად გამოიყენება ტრანსპორტის უმარტივესი ფორმები — ველოსიპედები და ელექტრომობილები. ეს საჭიროა იმისთვის, რომ სპორტსმენებმა გაბინძურებული ჰაერით არ ისუნთქონ. თამაშების დროს ოლიმპიური სოფლისთვის გამოყოფილ რვა ჰექტარ ნაკვეთზე 15 ათასი კაცი იცხოვრებს.

⊙ **ანეტ კოულიმ,** რომელიც შეყვანილი იყო დიდი ბრიტანეთის მოცურავეთა ოლიმპიურ ნაკრებში უარი თქვა სეულში გამგზავრებაზე და თავისი სურვილით დატოვა გუნდი. ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა: ვინაიდან დაბადებული ვარ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ამ კონტინენტის ქვეყნებმა შესაძლოა პროტესტი გამომიცხადონ და არ მინდა დელეგაცია უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენო. ერთხელ ასეთი რამ უკვე მოუვიდა ნიჭიერ მძლეოსან გოგონას, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში დაბადებულ ზოლა ბადს.

# რეკორდსმენი პროფესიონალები

**ამერიკული** ჟურნალი „სპორტს ილუსტრეიტედი" ყოველწლიურად ბეჭდავს იმ სპორტსმენთა გვარებს, რომლებიც სარეკორდო ჰონორარს იღებენ. გასული წლის შედეგების მიხედვით საგრძნობლად დაწინაურდნენ პროფესიონალი მოკრივეები, რომლებმაც უკან ჩამოიტოვეს აქამდე „უძლეველი" ბეისბოლისტები, ჰოკეისტები, ფეხბურთელები და კალათბურთელები.

სიაში პირველ ადგილზეა საშუალო წონის პროფესიონალი მოკრივე მარვინ ჰეგლერი, რომელმაც რეი ლეონარდთან შეხვედრისთვის 15 მილიონი დოლარი მიიღო. ეს ბრძოლა მინიმალური უპირატესობით ლეონარდმა მოიგო, რომელსაც გამარჯვების ნიშნად ჰონორარის სახით 10 მილიონ 800 ათასი დოლარი ერგო (ამ შეხვედრას კრივის სპეციალისტებმა „საუკუნის მატჩი" უწოდეს).

მესამე ადგილზეა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი კრივში მაიკ ტაისონი. ოთხი ბოლო ბრძოლისთვის მას „სულ რაღაც" 6 მილიონ 600 ათასი დოლარი გადაეცა, მეოთხე ადგილზე — მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი კრივში მაიკლ სპინქსი — 4 მილიონი დოლარი. ცნობილი პროფესიონალი კალათბურთელები კარიმ აბდულ ჯაბარი და „მეჯიკ" ჯონსონი მხოლოდ მეხუთე-მეექვსე ადგილებს იყოფენ, მერე კი მოდიან წინა წლების რეკორდსმენები — ბეისბოლისტები.

მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

# სტენ სმიტი

**სტენ სმიტი** ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელად, რომელსაც იცნობდა ამერიკა ჯეკ კრამერის და პანჩო გონსალესის დროიდან, მან გაიმარჯვა უიმბლდონში, დაეუფლა გრან პრის, 1972 წელს დაასახელეს ნომერ პირველ ჩოგბურთელად.

ს. სმიტი დაიბადა 1946 წელს პასადენში (კალიფორნია), კალათბურთის მწვრთნელის ოჯახში. მიუხედავად იმისა, რომ სპორტი ოჯახის უფროსის პროფესია იყო, იგი მაინც არ აძლევდა საშუალებას შვილებს სერიოზულად მოეკიდათ ხელი სპორტისთვის. მამა გულმოდგინედ ცდილობდა ესწავლებინა სტენისთვის ფორტეპიანოს დაკვრა, მაგრამ ტანმაღალ ბავშვს კალათბურთის მოედანი უფრო იზიდავდა. კალათბურთის გარდა იგი პერიოდულად ჩოგბურთსაც თამაშობდა, სადაც თანდათანობით წარმატებებსაც მიაღწია. სმიტი დარწმუნდა, რომ მალე მოუხდებოდა რომელიმე სახეობის საბოლოოდ არჩევა. საკმაო ჭოჭმანის შემდეგ, მან მაინც ჩოგბურთი ამჯობინა. ახლობლების გადმოცემით, სმიტს ძალიან გაუჭირდა კალათბურთთან განშორება.

დაიწყო ყოველდღიური ოთხ საათიანი ვარჯიშები ჯორერსის და ტოლეიას მეთვალყურეობით. ტოლეია გამოცდილი ფსიქოლოგი გახლდათ, ამიტომ მან სწრაფად აუღო ალღო თავისი მოწაფის ხასიათს. „როცა ჩვენ გავიცანით, —იგონებდა მოგვიანებით ტოლეია, — სტენლის ჰქონდა ერთი პატარა კომპლექსი, თანატოლებმა შთაუნერგეს, რომ მოუხერხებელი იყო და სტენლი ამას ძალიან განიცდიდა. მართალია, მას ახასიათებდა ერთგვარი შებოჭილობა, მაგრამ მაინც საკმაოდ თავისუფლად მოძრაობდა. პრობლემები დგებოდა მის წინაშე, მაგრამ დიდი ნიჭის წყალობით იგი ადვილად სძლევდა ყველანაირ დაბრკოლებას.

1964 წელს, როდესაც 18 წელი, შეუსრულდა, სმიტმა მოიგო ამერიკის იუნიორთა ჩემპიონატი კალამაზოში და კლიფ რიჩთან ერთად ამერიკული ჩოგბურთის იმედად შერაცხეს. მიუხედავად ასეთი წარმატებისა, სტენ სმიტი კიდევ ოთხ წელიწადს ელოდა თავის ტრიუმფს. დევისის თასის 1968 წლის გათამაშების ფინალში სმიტის ძლიერმა თამაშმა დიდად შეუწყო ხელი ამერიკელთა გამარჯვებას ავსტრალიელებთან.

1971 წელს სტენმა კინაღამ გაიმარჯვა უიმბლდონის ტურნირში, მაგრამ მოხდა ისე, რომ მან თავის თავს თვითონ შეუშალა ხელი. „როდესაც ნიუკომთან შეხვედრისას მეოთხე სეტში უკვე დავწინაურდი, მჯეროდა ჩემი გამარჯვებისა, — იხსენებს სმიტი. — მაშინ დავიწყე ფიქრი იმაზე, თუ რას ვეტყოდი ჟურნალისტებს შეხვედრის შემდეგ. ვისაც ეს გრძნობა არ განუცდია, ის ვერ გამიგებს. არავინ იცის, რა გრძნობები შეიძლება დაეუფლოს სპორტსმენს ამა თუ იმ გადამწყვეტ მომენტში. და აი, იმის მაგივრად, რომ თამაშისთვის კონტროლი გამეწია, ნაადრევად დავიწყე ფიქრი ჩემს საბოლოო შედეგზე, მგონი, — ამის გამოც დავთმე თამაში. ძალიან ადრე ჩავთვალე თავი გამარჯვებულად და კიდევაც დავისაჯე".

ყველაზე დიდ წარმატებას სმიტმა 1972 წელს მიაღწია. ამ წელიწადს მან მოიგო უიმბლდონის შეჯიბრება, აშშ-ისა და საფრანგეთის ჩემპიონატები დახურულ დარბაზებში, დევისის თასის გათამაშებაში მისსავე მოედანზე ილიე ნასტასე დაამარცხა და გაიმარჯვა „გრან პრის" გათამაშებაში. აი რას ამბობდა მაშინ ჯეკ კრამერი სმიტის შესახებ: „მე ვთვლი, რომ ტანმაღალ მოთამაშეებს, სმიტი კი მათ რიცხვს ეკუთვნის, მეტი დრო სჭირდებათ სპორტული პიკის მისაღწევად. გაივლის გარკვეული დრო, სანამ ისინი იმდენად დაეუფლებიან ტექნიკის საიდუმლოებებს, რომ თავიანთი უპირატესობა დაამტკიცონ, მაგრამ სტენლი ჭეშმარიტი ტალანტია, რომელსაც ამასთან აქვს კიდევ ერთი დიდი პლუსი: შეუძლია წარმატებით ითამაშოს უდიდესი ფსიქიკური დაძაბულობის დროს. მან მოიგო „ტაიბრეკის" 85 პროცენტი. ასეთი შედეგისთვის არავის მიუღწევია. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მისი ნერვული სისტემის სიმტკიცეს".

სმიტი მოედანზე თავდაჭერილობისა და ჯენტლმენობის განსახიერებაა. მაღალი, მხარბეჭიანი, ათლეტური აღნაგობის ჩოგბურთელი დიდი გამძლეობით გამოირჩევა. ბუნებით ის საკმაოდ თავშეკავებული ადამიანია, როგორც რეპორტიორები ჩივიან ზედმეტად თავშეკავებულიც:

ბრწყინვალედ გამოვიდა სმიტი 1972 წელს ბუქარესტში დევისის თასის გათამაშებაში. რუმინეთის გუნდს, რომელშიც გამოდიოდნენ ნასტასე და ცირიაკი, სეზონის შედეგები და სხვა გარემოებები, უკეთეს შესაძლებლობებს უქმნიდა, მაგრამ უკვე პირველივე შეხვედრაში სმიტმა აიძულა გამოცდილი ნასტასე (რომელსაც ყველა ფავორიტად თვლიდა) ფარ-ხმალი დაეყარა. ამ მატჩმა ფაქტობრივად გადაწყვიტა საბოლოო ბედი. მაყურებელთა სიმპათია სმიტმა მარტო კარგი თამაშით როდი დაიმსახურა. ყველას მოეწონა მისი რეაქცია მაყურებელთა მოქმედებაზე, მსაჯთა საჭოჭმანო გადაწყვეტილებებზე. სპორტული კორექტულობისათვის, რაც მან გამოამჟღავნა 1973 წლის სეზონის მატჩებში, სმიტი „ფეიკოს პლეის" პრიზით დააჯილდოვეს.

ეს უძლიერესი ჩოგბურთელი წლის უმეტეს ნაწილს მოგზაურობაში ატარებს, მაგრამ მოვა დრო, როცა იგი დაუბრუნდება მშობლიურ ქალაქს და გახსნის სტენ სმიტის ჩოგბურთის სკოლას, სადაც გაიზრდებიან „თეთრი" სპორტის ახალი რაინდები.

**ალექსანდრე ჯიბლაძე.**

# „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი"



**სახელგანთქმული** „ბოსტონ სელტიქსის" შემდეგ ნბა-ს ყველაზე ტიტულირებული გუნდია „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი", რომელიც თერთმეტჯერ იყო კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ჩემპიონი. გუნდის ისტორიაში ყურადღებას იპყრობს ორი პერიოდი 50-იანის დასაწყისი და 80-იანი წლები, რომლებიც პროფესიული კალათბურთის ისტორიაში „ლეიკერსის" ჰეგემონიის ხანადაა მიჩნეული. 50-იან წლებში იგი „მინეაპოლის ლეიკერსის" სახელით გამოდიოდა და ხუთჯერ გახდა ჩემპიონი (1949. 1951, 1952, 1953, 1954). ამ წარმატებებს, პირველ ყოვლისა, უკავშირებენ გუნდის უძლიერესი მოთამაშის ჯორჯ მაიკენის სახელს და მას ამერიკელი მიმომხილველები „XX საუკუნის პირველი ნახევრის საუკეთესო კალათბურთელად მიიჩნევენ". 80-იან წლებში, როგორც ფრანგული ჟურნალი „მაქსიბასკეტი" აღნიშნავს, დაიწყო „ლეიკერსის" ნამდვილი რენესანსი. იგი ხუთჯერ გახდა ჩემპიონი (1980, 1982. 1985, 1987 , 1988). ეს წარმატებები დიდად განაპირობა გუნდში ტალანტთა მთელმა თანავარსკვლავედმა: „მეჯიკ" ჯონსონი, მაიკლ კუპერი, ბაირონ სკოტი, ჯეიმზ უორთი და განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქერიმ აბდულ ჯაბარი. საგულისხმოა, რომ 1968-1969 წლებში „ბოსტონ სელტიქსის" ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ნბა-ს ჩემპიონატი ზედიზედ ორჯერ არავის მოუგია.

უნდა ითქვას, რომ 1988 წელს გამარჯვება „ლოს-ანჯელეს ლეიკერსს" გაცილებით უფრო გაუჭირდა, ვიდრე წინა სეზონში, „პლეი ოფის" სერიის შედეგები ამის დასტურია. შარშან „პლეი-ოფსში" გუნდმა ბრწყინვალე შედეგი აჩვენა (18 მატჩში 15 გამარჯვება), წელს კი 24 მატჩში 15 გამარჯვება მოიპოვა.

მწვრთნელ პატ რალეის მიაჩნია, რომ „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" ამ დიდ წარმატებას სპორტსმენთა ინდივიდუალური ოსტატობა, თავდადება და მიზანდასახულობა განაპირობებს.

„ისევე როგორც შარშანდელ სეზონში, წელსაც მოვუწოდეთ თითოეულ მოთამაშეს, რომ თავისი კარიერის საუკეთესო სეზონი უნდა ჩაატაროს, მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ ჩემპიონობის შენარჩუნებას, საუკეთესო გუნდად მხოლოდ მაშინ დავრჩებით თუ თითოეული კიდევ უფრო აიმაღლებს თამაშის კლასს და მართლაც, მათ საუკეთესო სეზონი ჰქონდათ, თუ სტატისტიკური მონაცემებით არა, თამაშის ხარისხით მაინც.

მიმომხილველებს ხშირად უყვართ აღნიშვნა, რომ „ლეიკერსი" ლიგაში ყველაზე უფრო ნიჭიერი გუნდია, მაგრამ მათ ავიწყდებათ ის, რომ „ლეიკერსი" ყველაზე ბეჯითი გუნდიცაა ლიგაში, და სწორედ ესაა ის კოზირი, რასაც მოწინააღმდეგე ვერაფერს უხერხებს".

დასასრულ, გაგაცნობთ „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" შემადგენლობას: ქერიმ აბდულ ჯაბარი (215 სმ), „მეჯიკ" ჯონსონი (205), ჯეიმზ უორთლი (205), მიკლ კუპერი (200), ბაირონ სკოტი (193), ა. ს. გრინი (205), კურტ რამბისი (203), ბილ ტომპსონი (198), მაიკლ ტომპსონი (208), უეს მათეუსი (185).

**მერაბ კალანდაძე,**
**ავთანდილ მაღრაძე.**

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 18 აგვისტო.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** საკალათბურთო მიმოხილვა — **18.35 (1);** რიტმული ტანვარჯიში — **20.30 (2).**

**19 აგვისტო.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2).**

**საქართველოს ტელევიზია. 18 აგვისტო.** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი). 17 აგვისტოს მატჩის ვიდეოჩანაწერი — **21.00.**

## „სპორტპროგნოზი"

**33-ე ტირაჟის შედეგები**

**(13-15 აგვისტო)**

1—1, 2—X, 3—1, 4—1, 5—1, 6—X, 7—1, 8—1, 9—2, 10—X, 11—2, 12—1, 13—X.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

**რედაქტორი**
**თ. ბაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი 66435**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05518